ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N06/36

<u>პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავებისა და მართვის პროგრამა</u>

გამარტივებული შესყიდვა

ქ. თბილისი 20 ივნისი 2013 წელი

ერთის მხრივ,
სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის - **გრიგოლ გიორგაძის** სახით,
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N42,
საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222
ანგარიშის ნომერი: 200122900;
(შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ,
შპს „უნივერსალი"
წარმოდგენილი დირექტორის - **ალეკო ინწკირველის** სახით
მის: ქ. თბილისი აგლაძის N37
საიდენტიფიკაციო კოდი: 401976796
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი";
IBAN: GE93TB 7798 7360 8010 0001
(შემდგომში „მიმწოდებელი")

<u>წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების საფუძველს წარმოადგენს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10' მუხლის მე-3 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტი.</u>

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საჭიროების დასაკმაყოფილებლად;

1.2 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:
- <u>**ავტომანქანის (ავტომანქანის VOLKSWAGEN PASSAT სახელმწიფო ნომრით QEQ-818) სამუხრუჭე ხუნდების შესყიდვა;**</u>
- **CPV კოდი: 34300000 - ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის**

1.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა და აღწერილობა მოცემულია **ფასების ცხრილში - დანართი N1,** რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2. **ფასები და ანგარიშსწორების პირობები**

2.1 შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება შეადგენს - **130.00 ლარს (ასოცდაათი ლარი და 00 თეთრი).**

2.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში;

2.3 დაფინსების წყარო: 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

2.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების მიხედვით, მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე და სხვა კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენიდან <u>30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში.</u>

3. **საქონლის მიწოდების პირობები**

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ <u>**3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში**</u> უზრუნველყოს შემსყიდველისათვის საქონლის მიწოდება და საჭიროების შემთხვევაში თანმდევი მომსახურების გაწევა;

3.2 საქონლის მიწოდების ადგილს წარმოადგენს: **ქ. თბილისი, აგლაძის N37**

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უწაკლო საქონელი.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ერთიანად, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.2 შემყიდველის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიღებას აწარმოებს ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი- **ლაშა ნებიერიძე.**

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი რათა დარწმუნდეს მიწოდებული საქონლის ხარისხში.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა შენიშვნის აღმოფხვრა.

5.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

5.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - **ლაშა ნებიერიძე.**

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. უფლებების გადაცემა

7.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

9.1.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს მომსახურების სრულად შესრულება ან მისი ნაწილისა;

9.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

9.3.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

9.3.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

9.3.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

9.3.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულების ენა და შეტყობინება

12.1 ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად ქართულ ენაზე და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

12.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ორი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან“;

12.3 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან/და ელ. ფოსტის სახით, შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემში მითითებული მეორე მხარის მისამართზე;

12.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების გაგზავნიდან მე-3 დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო ადრე დგება.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს <u>2013 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.</u>

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სასოფლო-სამეურნეო საქონლის ბაზრების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	შპს „უნივერსალი“
გრიგოლ გიორგაძე	ალეკო ინწკირველი

<u>დანართი N1</u>

2013 წლის 20 ივნისის N06/36 ხელშეკრულებასთან

ფასების ცხრილი

N	CPV კოდი	საქონლის დასახელება	სახ. ნომერი	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	343 22400	სამუხრუჭე ხუნდი	QEQ-818	ცალი	1	60.00	60.00
2	343 22400	სამუხრუჭე ხუნდი	QEQ-818	ცალი	1	70.00	70.00
ჯამი:							**130.00**

შემსყიდველი:

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

მიმწოდებელი:

შპს „უნივერსალი“

გრიგოლ გიორგაძე

ალეკო ინწკირველი

შემსრულებელი: _____

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 20 ივნისი 2013 წელი

მიმწოდებელი: შპს „ უნივერსალი“

ხელშეკრულების № 06/36

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-8 მუხლს „ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები“ ვადასტურებთ, რომ საქართველოს სასჯელარსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

ვიზირებულია:

1. გრიგოლ გიორგაძე ----------
2. ამირან ჯეგისაშვილი ----------
3. გივი ქემოკლიძე ----------
4. შალვა ჯულაყიძე ----------
5. ლაშა ნებიერიძე ----------

შემსრულებელი: ----------

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი

ბრძანება № 141

თბილისი „20" 06 2013 წ.

ზოგიერთი სახის მომსახურების და საქონლის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის შესახებ

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, რაც დაკავშირებულია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) გამართულად ფუნქციონირებასთან, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 იანვრის N8 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „,ა", „თ" და „ყ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდულ იქნეს:**
   ა) ავტომობილების ნაწილები, შეკეთება და ტექნიკური მომსახურება - 550,00 ლარის ზღვრული ოდენობით;
   ბ) საკანცელარიო საქონელი - 30,00 ლარის ზღვრული ოდენობით;

2. **დაევალოს სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსს (ა. ჯეგისაშვილი) უზრუნველყოს შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება.**

3. **ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.**

სოზარ სუბარი

0177, ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. №42,
42 Kazbegi ave., Tbilisi, 0177, Georgia, www.mcla.gov.ge
ტელ./Tel.: (+995 32) 2312733, ფაქსი/Fax.: (+995 32) 2311901

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

მიღება ჩაბარების აქტი №06/36-1

ქ. თბილისი 21 ივნისი 2013 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ლაშა ნებიერიძის სახით და მეორეს მხრივ "მიმწოდებელი"

შპს. "უნივერსალი"

(დაწესებულების დასახელება)

ალეკო ინწკირველი

(უფლებამოსილი პირი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მხარეთა შორის 2013 წლის 20 ივნისს №06/36 ხელშეკრულების ფარგლებში "მიმწოდებელმა" სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიაწოდა 130,00 (ასოცდაათი) ლარის ღირებულების საქონელი. (ავტომანქანის სამუხრუჭე ხუნდები)

130,00 (ასოცდაათი) ლარი.

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

130,00 (ასოცდაათი) ლარი.

საქონლისა და გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

ჩააბარა:
დირექტორი /ა. ინწკირველი/

მიიღო:

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის
სამმართველოს მთავარი სპეციალისტი /ლ. ნებიერიძე/